

## ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრი „ფერმერთა სკოლა“

მისამართი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ნინოწმინდა

ტელ: 595 96 79 19;

ელ.ფოსტა: [farmer.school@yahoo.com](mailto:farmer.school@yahoo.com)

ვებ. გვერდი: [www.farmersschool.ge](http://www.farmersschool.ge)

პროგრამის სახელწოდება: ჟოლოსა და უეკლო მაყვლის წარმოება



პროგრამის მიზანია: სასწავლო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას. მოამზადოს კვალიფიციური კადრები, რომელთაც ექნებათ ჟოლოსა და უეკლო მაყვლის წარმოებისათვის შესაბამისი ცოდნა და უნარჩვევები.

სწავლების ენა - ქართული

## **სწავლება-სწავლის პროცესი, დასაქმების სფეროები:**

ჯგუფში პროფესიულ მსმენელთა რაოდენობაა მაქსიმუმ 15. პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას და ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ პირს ექნება შესაძლებლობა შეარჩიოს ჟოლოსა და უეკლო მაყვლის ჯიშები, შეარჩიოს გასაშენებელი ადგილი, აგემოს და გააშენოს ბაღი, ჩაატაროს ბაღში ყველა საჭირო აგროტექნოლოგიური სამუშაოები, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს მცენარეთა დაცვის ღონისძიებები, შეარჩიოს შესაბამისი სასუქი და გამოკვებოს მცენარე, მიღებული პროდუქციის წარმოებისა და შენახვის პროცესში აკონტროლოს ხარისხობრივი მაჩვენებლები და იზრუნოს მიღებული პროდუქციის სასაქონლო სახის შენარჩუნებაზე.

პროგრამის ყველა შედეგის დადასტურების შემდეგ მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

**სწავლა უფასოა და ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს.**